ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7717767

ნომერი: AR11116844

თარიღი : 12.11.2025

გაცემის თარიღი : 26.11.2025

გაცნობის თარიღი : 26.11.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 48;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიანი ჟამუტაშვილი პ/ნ 31001013697
- ქ. თბილისი დიღომი კვირაცხოვლის ქ.#41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსამრეცხაო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, საპროექტო ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.072) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) , ვინაიდან თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციით საპროექტო ობიექტი ამ ზონისათვის საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge შესაბამისი მოთხოვნის კუთხით. ამასთანავე სსზ-2-ში განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: მინიმალური ფართობი: 700 კვ.მ მინიმალური სიგანე: 20 მეტრი მინიმალური სიღრმე: 30 მეტრი, ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნკვეთი ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნინულს, საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ სსიპ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge-ზე, ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 12/11/2025 წლის AR11116844 განცხადება ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.